# სახალხო გაზეთი

№ 405 ოთხშაბათი, 21 სექტემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 405

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. ხსვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: [წერი]ლებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо [Газ]ети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

„სახალხო გაზეთი"
სურათებიანი დამატებით
1 ენკენისთვიდან წლის ბოლომდე
ღირს 3 მან. 20 კაპ.
ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . 80 კაპ.
ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (п. я. 190)
რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

დ. ყვირილაში
„ორიაპნის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა
„სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად

ორშაბათს, 26 ენკენისთვეს, ქ. სოხუმში, სასაფლაოს წმ. გიორგის ეკლესიაში, დილის 10 საათზე, გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ
ნინო ერმილე თაყაიშვილის ასულის ერქომაიშვილის
სულის მოსახსენებლად, რასაც ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მშობელნი, მეუღლე და შვილები (1.838.1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი
ოთხშაბათს, 21 ენკენისთვეს,
ელ. ანდრონიკაშვილი და შალვა დადიანი სცენის მოყვარ. დახმარებით გამართავენ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ლ. ტოლსტოის რომანიდან გადმოკეთებული პიესა
პირველად ტფილისის სცენაზე აღდგომა, 5 მოქმედ. და 7 სურათად.
მონაწილეობენ: ქ-ნნი ე. ანდრონიკაშვილი, მ. გოგოლაშვილი, კახელი; ბ-ნნი: ანაშვილი, ბაქრაძე, დადიანი, ა. მეტრეველი, სვანელი, ტარასი, ჭანკვეტაძე და სხვა. ადგილების ფასი 1 მან. 15 კაპ.-დე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. დასაწყისი საღ. 8 ს. (2,836.2)

ა. შანშიაშვილის
„შვების თავადი"
ფასი 60 კაპ.
„სახალხო გაზ." ხელის მომწერთათვის 40 კაპ.; იყიდება ყველგან. საწყობი: ქართვ. ამხან. სტამბაში (ვანქის ქ., № 12) გამომცემელ მ. ნემსაძესთან. (10—8)

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასასყიდად რუსულ ენის სახელმძღვანელო
მეთოდიური ქრისტომატია
(Методическая хрестоматія по русскому языку)
ნაწ. I, გამოცემა მეორე, შედგენილი ვ. ჯაფარიძისა და ი. ზედგინიძის მიერ. განათლების სამინისტროსაგან წიგნი ნებადართულია სკოლებში სახმარებლად. (3—837—1)

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი
„კოლხიდა"
რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.
ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ. საზღვარ-გარედ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. თითო ნომერი ერთ შაურად.
ადრესის გამოცვლა: ქუთაისიდან ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ.
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზეთ «კოლხიდა»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდინ, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე

ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება
მოწყობილია 50 საწოლით.
განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან.
ტელეფონი № 590.
სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:
ექიმი-ქალი ვერბიცკისა-ფირადოვისა ლ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.
გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., $10^1/_2$—11 ს.
დავითაშვ. რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით ა ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.
მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ საათ.,
მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—$1^1/_2$ ს.
მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.
მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე $12^1/_2$—1 ს.
ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.
ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.
ხოხოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.
ხუდაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.
თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.
ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (წ.—1089—564)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—143)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.
ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.
ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.
ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.
გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.
შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
გ. ვ. ხოხოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
წამლობა „606"-ით.
(წო.—1090—162)

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 (—137)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი ჯაბამეიძისა

დოქტორი მედიცინისა
ი. ე. თიკანაძე
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათა სნეულების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. N 18, თავ. გაბნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.
საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—839—1)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს. მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

ექიმი ივ. გომართელი. დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება დილით 8—12 საათ. საღამოთი 5—7 ს.-მდე.
ვერაზე, ოლგას ქუჩა, № 20. (თ.—813—6)

ექიმი ზ. ნ. მამაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და ნაწლავისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.) და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—29

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზულ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.
მლისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—15)

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები).
ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.822.4)

ექიმი ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-ბანტურიასი ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.
ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—32)

ექიმი ვ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ხვანიშვილისა.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—110)

## კიდევ საქალაქო არჩევნების გამო

### 1.

არჩევნების დროს პოლემიკური ცხარება ხშირად უკიდურესობამდე მიდის. ასეთ პოლემიკის დროს ადვილია მთავარ საკამათო საგნის დავიწყება, წინ წამოყენება მრავალ წვრილმან საკითხებისა, რომელნიც მხოლოდ აბნელებენ მთავარ საკითხს და არა სასიამოვნო ელემენტი შეაქვთ კამათში. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ჩვენს, ქართულს პრესაზე, რომელიც მაინცა და მაინც დიდს თავდაჭერილობას ვერ დაიტრაბახებს. სწორედ ასეც მოხდა. საქალაქო არჩევნების გამო ატეხილ კამათში; ისეთი გაუგებრობა აღმოჩნდა ერთი მეორის აზრებისა, ისეთი გულ-ფიცხობა შეიტანეს მსჯელობაში, რომელიც თითქოს დარბაისლობის საზღვრებს არ უნდა გასცილებოდა, რომ იძულებულნი ვხდებით კვლავ დავუბრუნდეთ საკამათო საგნის დედა-ძარღვს და ჩამოვაშოროთ მას ყველა არა სასურველი ელემენტი.

გვეკამათება, მეხსა და სეტყვას გვაყრის თავზე „მნათობი", „ტიფ. ლისტოკი", „თემი" და სომხური გაზეთი „ჰორიზონი". აღარ დარჩა ისეთი ცოდვა, რომელიც ჩვენ არ მოგვახვიონ კისერზე. სოვდაგრების ინტერესების დამცველები ჩვენა ვყოფილვართ, შოვინისტები და ნაციონალისტები თუ არიან სადმე, მხოლოდ ოდნავ თუ შეედრებიან თავის უკიდურესობით „სახალხო გაზეთს". „თემმა", ამ ფაქტებით გატენილმა გუდამ, პირშიაც კი მოგვაფურთხა, თანახმად გერმანიის პარლამენტში გამეფებულ ბრძოლის საშუალებისა. ეს ისეთი არგუმენტაციაა, რომელსაც აზროვნების მექანიზმი ვერ ეგუება, და ამიტომ ჩვენც უყურადღებოდ დავტოვებთ.

რამ გამოიწვია ასეთი საშინელი ალიაქოთი? ერთმა სრულიად უბრალო გარემოებამ—ქართველ ამომრჩეველთა შეკავშირებამ საქალაქო არჩევნების წინ. ფაქტი ქართველთა შეკავშირებისა იმდენად თავ-ზარ დამცემი აღმოჩნდა, რომ ერთს კილოზე აალაპარაკა სრულიად სხვა და სხვა ჯურის გაზეთები. არავითარი იდეიური კავშირი არსებობს ამ გაზეთებს შორის, ყველას თავისებური იდეალი აქვს შემუშავებული, თავის საკუთარი იდუმალი გულის ზრახვა ამოძრავებს, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება—ქართველ ამომრჩეველთა შეკავშირების დაფასებაში ყველას სოლიდარობა და გასაოცარი შეხმატკბილება ემჩნევა. აიღეთ, თუნდა, „ჰორიზონი".

„სახალხო გაზეთი" (ცხადად ჩვენს გაზეთს არ ასახელებს, მაგრამ ეტყობა, სწორედ იგი აქვს მხედველობაში) ზემოხსენებულ სომხურ გაზეთს „საშინელ ნაციონალიზმის" მქადაგებლად მიაჩნია და გზა და გზა ქათინაურებს ეუბნება სომხურ პრესას—თავის დღეში ნაციონალიზმის მქადაგებლად იგი არ გამოსულაო; შეიარაღებული ნაციონალიზმი სომხებისთვის არასოდეს ყოფილა სასურველი მდგომარეობაო".

თავის დროზე აღვნიშნეთ, რომ „ტიფლ. ლისტოკი"-ც ამას გვეფიცებოდა და გვარწმუნებდა; „ჰორიზონი" დარწმუნებულია, ჩვენს გაზეთს ისეთი რაღაც არა-ჩვეულებრივი პოზიცია უჭირავს, რომელიც, უეჭველია, სომხების კადასახლებამდე მიგვიყვანს. „ჰორიზონი" ნაციონალიზმის მებაირახტრედ ნათლავს ჩვენს გაზეთს, ისიც „საშინელ" ნაციონალიზმისა და არა ცდილობს ფაქტებით დაამტკიცოს რაში გამოიხატა ეს ნაციონალიზმი. მაგრამ ეს კიდევ არა კმარა. როგორც „ტფილ. ლისტოკი", ისე „ჰორიზონი" უღრმეს სიამოვნებას განიცდიან, როდესაც ხედავენ, რომ ჩვენშიაც ჩნდებიან ისეთი პირნი, რომელნიც სრულიად დაუსაბუთებლად ჩვენს პოზიციას ნაციონალისტურს ეძახიან. „ტიფლ. ლისტოკი" „მნათობს" ეუბნება ქათინაურებს „ჰორიზონ"—„თემს" ყველანი ერთად კი ჩვენს წინააღმდეგ ილაშქრებენ.

ჩვენ ამ გარემოებამ, სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფების ერთსულოვნებამ დაგვაინტერესა. მოვინდომეთ გამოძებნა იმ პირველ მიზეზისა, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ერთსულოვნებას და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ქართველ ამომრჩეველთა დამოუკიდებელი გამოსვლა საარჩევნო ბრძოლის ასპარეზზე ისეთი მოვლენაა, რომელსაც სომხის ნაციონალისტები ვერას გზით ვერ შეურიგდებიან. ფაქტიურად ეს შეკავშირება და შეერთება ნაციონალისტურს არაფერს შეიცავს, მაგრამ სომხის ნაციონალისტები მაინც ყოველს წუთს ამაზე ლაპარაკობენ რათა სახელი გაუტეხონ, ზნეობრივი ძალა დაუკარგონ ფაქტს, რომელ ც მათთვის საზარალოა. მაშ, სხვა რა ფასი უნდა ჰქონდეს იმ გარემოებას რომ „ტიფ. ლისტ." ჩვენა გვწამებს ნაციონალიზმს, როდესაც თვით უკიდურეს ნაციონალიზმის წარმომადგენლად ითვლება? რა ფასი და მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს „ჰორიზონი"-ს ღაღადს ერთა სოლიდარობის შესახებ, როდესაც მრავალი მოვლენა სომეხთა მახინჯ და ცხად ნაციონალიზმისა მისგან აღუნიშნავი დარჩა? სად იყვნენ ეს გაზეთები, როდესაც ტფილისის თვითმმართველობაში გაბატონებული იყო სომეხთა ნაციონალიზმი? რატომ მაშინ არა ჰყვიროდნენ ინტერნაციონალიზმზე? სადა ბრძანდებოდნენ სწორ-უპოვარნი დამცველნი ერთა სოლიდარობისა, როდესაც ქ. თელავში სომხის ბურჟუაზიამ გამოაშკარავა უკიდურესი ნაციონალიზმი? სადა ბრძანდებოდნენ მაშინ ეს ვაჟბატონები? რატომ მაშინაც არა ჰქუხდა მათი მკვეთრი ხმა, რატომ მაშინაც არ ისმოდა ხმა პროტესტისა და უკმაყოფილებისა? არა, მაშინ სიჩუმე იყო, კმაყოფილნი თავისი მდგომარეობით, ეს მგლის ტყავში გახვეული ინტერნაციონალისტები სდუმდნენ, და მხოლოდ ეხლა დაილაპარაკეს, ეხლა ამეტყველდნენ, როდესაც ქართველებსაც დაეტყოთ მცირე ნიშანი ეროვნულ კათვითცნობიერებისა. ტრაფარეტულ ფრაზეოლოგიას ერთა სოლიდარობის შესახებ ჩვენთვის სრულიად არავითარი ფასი აქვს. მართალია არიან ჩვენში ჯერ კიდევ ისეთი გულ-უბრყვილო პუბლიცისტები, რომელსთაც ასეთი ფრაზეოლოგია სენტიმენტალურ გუნებაზე აყენებს, მაგრამ ჩვენ მათ რიცხვს არ ვეკუთვნით. ჩვენთვის საჭიროა ფაქტი ეროვნულ სოლიდარობისა, რეალური გამოხატულება მისი და არა სიტყვები ასეთს ფაქტს კი ჩვენ არსად ვხედავთ. პირ-იქით, ჩვენ მოწმენი ვართ იმ გასაოცარ მოვლენისა, რომელიც, უეჭველია, კვალს დასტოვებს ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიაში. მოწმენი ვართ იმ გასაოცარ მოვლენისა, რომ ქართველთა სურვილს—აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქალაქის თვითმმართველობაში და ამით განახორციელონ თავიანთი პირდაპირი ზნეობრივი ვალდებულება—მტრულად უხვდებიან სწორედ ისინი, ვინც დღე-მუდამ ერთა სოლიდარობაზე გვეფიცება. სად არის აქ ან ლოღიკა ან სამართალი? სად არის აქ რეალური განხორციელება იმ ძმობა-ერთობისა, რომელსაც წარა-მარა პირში გვჩრიან ჩვენი მტერ-მოყვარენი?

სომეხ ნაციონალისტების აღშფოთება მხოლოდ იმის მომასწავებელი ლია, რომ ისინი ვერას გზით ეთვისებიან ქართველთ ხმის ამოღებას. „შეიარაღებული ნაციონალიზმი სომხებისათვის არასოდეს ყოფილა სასურველი მდგომარეობაო", ბრძანებს „ჰორიზონი". ოლონდაც!.. ჩვენც სწორედ იმას მოვახსენებთ, რომ ნაციონალიზმი სომხებისთვის არასოდეს ყოფილა სასურველი მდგომარეობა. მათთვის გაცილებით უფრო სასარგებლო და ხელსაყრელია ინტერნაციონალური პოზიცია, რომელიც ჩვენს ბეც ინტერნაციონალისტებს აბრუებს და ჰქმნის ილიუზიას, თითქოს სომხის ბურჟუაზია მართლაც მხოლოდ ინტერნაციონალურ პრინციპების მტარებელია და არა უკიდურეს ნაციონალიზმისა.

ქართველ ამომრჩეველთა გამოსვლა საარჩევნო ასპარეზზე და ჩვენი პოზიციაც სწორედ იმიტომ არ მოეწონათ, რომ აქ იგი სწორედ ამ ილიუზიასა ჰფანტავს და სინამდვილეს მთელის თავის სიტიტვლით აჩვენებს. თუ ტანთსაცმელის გახდის შემდეგ საზოგადოებას მახინჯი აგებულების არსება წარუდგა, ეს თქვენს თავს დააბრალეთ.

ჩვენ ერთა სოლიდარობის წინააღმდეგნი არასოდეს ყოფილვართ და არც ეხლა ვართ, მაგრამ მაინც საშინლად გვაშფოთებს, როდესაც კანონიერს და სამართლიანს მოთხოვნას ქართველებისას ნაციონალიზმად ჰნათლავენ. ერთად ერთი აზრი ჩვენი მოწინააღმდეგებისა იმაში მდგომარეობს, ბნელი სუდარა გადააფარონ ქართველ ამომრჩეველთა მოთხოვნას და იგი რეაქციონურ მოვლენად მონათლონ, მაგრამ ეს ფანდი ვერავითარ ეფექტს მოახდენს; ქართველი საზოგადოება იმდენად გათვითცნობიერებულად მიგვაჩნია, რომ იგი ადვილად გაარჩევს შავსა და თეთრსა.

არ. ჯ—შვილი.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ **18 სექტემბერს ტფილისს დაბრუნდნენ:** საქართველოს ექსარხოსი ინოკენტი, ტფილისის გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი, ნამესტნიკის საბჭოს წევრი ვ. ნ. ოსეცკი და მიწადმოქმედების მთავარ გამგის რწმუნებული პ. პ. არხიპოვი, რომელნიც ბოდბის მონასტრის სამრევლო-სამასწავლებლო ქალთა სასწავლებლის კურთხევას დაესწრნენ.

◆ **ნამესტნიკის საბჭომ** დაადგინა, სამართალში მისცეს თელავის მომრიგებელ მოსამართლედ ნამყოფი თავ. ნიკ. ჭავჭავაძე და მისი მწერალი თავ. ვას. თარხან-მოურავი რომელთაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდებათ.

◆ **კავკასიის ნამესტნიკის მოადგილემ** განკარგულება მოახდინა, ხუთი წლით კავკასიაში ცხოვრება აეკრძალოს საზურთალოს საერობო დარაჯის გიორგი მათიაშვილის მოკვლაში მონაწილეობის მიღებისათვის მეტეხის ციხეში მყოფ აბრამ და ალექსი მელიქოვებს, თედო სურავლაშვილს, პეტრე პენტასაძეს, გოგოლაურს, ალექსი ბექაურს და ბაწაწუნა წიკლაურს.

◆ **ტფილისის გუბერნატორმა** ქალაქის მოურავს თვითმმართველობის თხოვნა დაუბრუნა, რომლითაც შუამდგომლობდნენ ტფილისში კავკასიის რკინის გზით შემოტანილ-გატანილ საქონელზე ქალაქის სასარგებლოდ გადასახადის შემოღების ნებართვას. გუბერნატორმა მასთან წინადადება მისცა, შუამდგომლობა გადააკეთონ 1911 წლის 2 მარტს უმაღლესად დამტკიცებულ საბაჟო კანონებისა, ადგილობრივ მეურნეობის მთავარ-გამგეობის ცირკულიარულ განმარტების მიხედვით.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ გამგეობის განკარგულებით **სოფ. ახტალაში** (ბორჩ. მაზრა) საფოსტო სატელეგრაფო განყოფილება იხსნება; 1 ოქტომბრიდან **სოფ. ხულოს** (ბათომის ოლქის) საფოსტო განყოფილებასთან შემნახველ-გამსესხებელი კასა გაიხსნება.

◆ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა გუბერნატორს დასამტკიცებლად დუშეთის მაზრის სოფ. **მუხრანის საზოგადოების დადგენილება** წარუდგინა, რომლითაც ისინი შუამდგომლობენ, ადგილობრივი პირველ დაწყებითი სასწავლებელი ორკლასიანად გადააკეთონ.

◆ **ნოტარიუს** მღებროვის მოადგილე, ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრი **ბ. ქართველიშვილი,** 20 სექტემბერს შეუდგა საქმეს.

◆ კოჯორსა, აჯიკენტსა და დარაჩიჩაგში დროებითი **საფოსტო განყოფილებანი დაიხურა**

◆ ვორონცოვის ქუჩის და ფაბრიკის შესახვევის (5 უბანი) **სახლის პატრონებმა ტფილისის გუბერნატორს საერთო თხოვნა მისცეს,** განკარგულება მოახდინოს, **რათა ვორონცოვის ქუჩაზე** მათის ხარჯით ქალაქის გამგეობამ წყალსადენ მილების მთავარი შტო გაიყვანოს. შუამდგომლობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ვორონცოვის ქუჩაზე დილის 4 საათიდან ღამის 12-მდე ეტლებისა, დროგებისა და ურმების მოძრაობისაგან კორიანტელი სდგას და ავადმყოფობა ვრცელდება. წყალსადენის უქონლობის გამო მორწყვაც შეუძლებელი ხდება. ამ ნაწილის ულარიბესი მცხოვრებნი მტკვრის წყალს ხმარობენ და ამის გამო გადამდები სენიც ძლიერ ვრცელდება.

◆ **ტფილისის მეძველეებმა** გუბერნატორს თხოვნა მიართვეს, ახალი ბაზრის გახსნის შემდეგ, სომხების სემინარიის შენობაში, სადაც ძველ ტანისამოსსა და სხვა ნივთებს ჰყიდიან, ვაჭრობა სრულიად არა აქვთ. ამიტომ მეძველეებმა გუბერნატორს სთხოვეს, ნება დართოს კვირაობით სემინარიის ძველ შენობის წინ გამართონ ვაჭრობა.

◆ ქალაქის სასანიტარო ექ. ფომინა-ოსიპოვას შედგენილ ოქმთან ერთად ტფილისის საქიმიო ლაბორატორიაში წარადგინეს ერბოსა და კარაქის ნიმუშები, რომელიც გრიბოედოვის ქუჩაზე № 24 მდებარე **კარაპეტ ტერ არუთინოვის** დუქნიდან წაიღეს. გამოკვლევამ აღმოაჩინა, ძროხის ერბოში შერეული ყოფილა კოკოსის (ინდოეთის კაკლის) ზეთი და სიყვითლის მისაცემად ქვანახშირის საღებავი. ტერ-არუთუნიანცი სამართალში მისცეს.

◆ **ქართველთა შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** სასარგებლოდ მუშტაიდში 18 სექტემბრისთვის დანიშნული სეირნობა, როგორც ვწერდით, არ გამართულა, რის გამოც საზოგადოებას ზარალი მოუვიდა. სეირნობის მოთავე კომისიამ ახალ კლუბის საერთო კრებას სთხოვა, დაგვეხმარეთ კლუბში ერთი დღის დათმობით, ან სხვა რამ სახით, რათა ზარალი დავფაროთო. კრებამ მამასახლისთა საბჭოს დაავალა, თხოვნა რაიმე გზით აუცილებლად დააკმაყოფილოს.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობამ 18 სექტემბერს კრებაზე დაადგინა, უნივერსიტეტის საზოგადოების შვიდსავე სკოლაში ამ კვირია დაიწყოს სწავლა, აგრედვე შეუდგეს ლექციების მართვას.

◆ დღეს, კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში **გადაიხდიან წირვასა და პანაშვიდს** სანტამარინელაში დაღუპულ ქართველ ისტორიკოსის, **მღვდლის თამარაშვილის სულის მოსახსენებლად.**

◆ **დასაფლავეს** გუშინ, სამი დღის წინად გარდაცვლილი ქალაქის საბჭოს ხმოსანი ი. ა. მელიქ ბეგლიაროვი. დასაფლავებას ნათესავ-ნაცნობთა გარდა ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელნიც დაესწრნენ, განსვენებული ხმოსნად 14 წელიწადს იყო.

◆ **წყალსადენის** შტოების გაფართოება ქალაქის განაპირა უბნებში, ამ ჟამად, დროებით შეჩერებულია, რადგან საჭირო მასალა ქალაქს გამოელია.

◆ **მღ. თამარაშვილის** ტრაგიკულ დაღუპვის გამო რედაქციამ **თელავიდან** სოსიკო მერკვილაძისაგან სამგლოვიარო დეპეშა მიიღო.

◆ **რედაქციამ მიიღო ნაძალადევის (ტფილისის) თეატრის სასარგებლოდ** ექიმ პ. ს. არდაზიანისაგან 3 მანეთი.

---

განსვენებულ **ფილიმონ ქორიძის ნაშრომის გამოსაცემ** თანხისთვის მიხეილ კავსაძეს ტფ. სათ.-აზნაურო ბანკის მოსამსახურეთა შორის შეუკრებია 12 მანეთი.

შემომწირველნი: ივანე კორინთელი, სვიმონ ყიფიანი, თ. კოტ. ჩერქეზიშვილი, ირაკლი რამიშვილი, ერასტი ჯაფარიძე, თ-დი კოტ. თუმანიშვილი, ზაქ. მაჭავარიანი, მიხეილ სარაჯიშვილი, თ-დი ლევ. ჯანდიერი, თ-დი დიმ. ფაღლენიშვილი, სერგ. ყაზახიშვილი, მიხ. კავსაძე.

ამ თანხისა წინად იყო 18 მ. 60 კ., სულ დღევანდლამდე არის 30 მან. 60 კ.

◆ **როგორც გადმოგვცეს,** საქართველოს სამხედრო გზის მოიჯარადრე ხ. ედიგაროვს შეუამხანაგებია ერთ გამოჩენილ ავტომობილების ფირმას და 1912 წელს აპირებენ ტფილისსა და კაზბეკს შუა მიმოსვლა მოაწყონ ფასდაკლებით. ამისათვის 24 სხვადასხვა კონსტრუქციის ავტომობილი შეუძენია.

## საზოგადოებანი და კრებები.

◆ **ახალ კლუბის წევრთა** საერთო კრება 19 სექტემბერს მოხდა პ. ა. გოთუას თავმჯდომარეობით. კრებამ საჭიროდ იცნო კლუბის წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლა: სახელდობრ, 10 მან. საწევრო ფულის ნაცვლად 12 მან. შემოღება, ხოლო ახლად ჩაწერილ წევრთათვის პირველ წელიწადს 20 მან. დაწესება. ამას გარდა წევრთ სტუმრის ბილეთები დაეთმობათ იმ ფასად, როგორსაც საჭიროდ დაინახავს მამასახლისთა საბჭო, მხოლოდ ეს ფასი 3 მან. არ უნდა აღემატებოდეს. დასასრულ, კრებამ ძველი მამასახლისები, რიცხვით 9 კაცი, ისევ დასტოვა და მიუმატა ორი ახალი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი, რომელიც ერთხმად უკენჭოდ იქნა არჩეული და თავ. მ. ჯამბაკურიან-ორბელიანი. მამასახლისების კანდიდატებად ოთხი კაცი იქმნა არჩეული.

◆ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 19 სექტემბერს მოხდა. პირველად საბჭომ მოისმინა ქალაქის მოურავისაგან ამბავი პრემიერ-მინისტრის პ. ა. სტოლიპინის მოკვლისა და ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნის ი. ა. მელიქ-ბეგლიაროვის გარდაცვალების შესახებ, ფეხზე ადგომით პატივი სცა მათს ხსოვნას და შემდეგ მორიგ საკითხებზე გადავიდა. ქალაქის გამგეობის შემუშავებული პურის ნიხრი საბჭომ დაამტკიცა. საკითხმა იმის შესახებ, თუ სად იქნეს აშენებული საქონლის სადგური კახეთის მომავალ რკინის გზისა, აზრთა გაზიარება გამოიწვია. ხმოსნებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ სადგური უეჭველად აშენებულ უნდა იქნეს რაც შეიძლება ტფილისზე ახლო. საბჭომ დაადგინა, შესაფერი შუამდგომლობა აღძრას სადაც ჯერ არს.

◆ **ქართულ სახაზინო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება** შესდგება დღეს, საღამოს 8 საათზე, კავკ. საიმ. სას.-სამ. საზ. დარბაზში (ალექსანდრეს ბაღი). კრება ხვალაც გაგრძელდება, რადგანაც განზრახულია მოქმედების გეგმის განხილვის დასრულება.

## სომეხთა ცხოვრება.

◆ „დაშნაკცაკანების" პარტიაში მონაწილეობისათვის ტფილისში დაპატიმრებულთ ამ დღეებში საბრალდებლო ოქმს ჩააბარებენ. ოქმის ჩაბარების შემდეგ რაიმე განმარტებისა და დამატებისათვის შვიდი დღის ვადა ეძლევათ. საქმეს გაარჩევენ პეტერბურგს მომავალ წლის იანვარში.

## ქუთაისი

◆ ახლად არჩეული **თავად-აზნაურობის წინამძღოლი დავით თ. ნიჟარაძე** „კოლხიდაში" მოთავსებულ სილოვან ხუნდაძის წერილით („შინაური მტრები") გაჯავრებული, მისულა ქართულ გიმნაზიაში და გამოუხმია სილოვანი მოსალაპარაკებლად. მაგრამ იქ მყოფ მასწავლებლებს შეუნიშნავთ, რომ ნიჟარაძე ძლიერ აღელვებული ყოფილა და სილოვანიც არ გამოსულა მასთან. კარგა ხნის ლაპარაკის შემდეგ, ნიჟარაძე დაუშოშმინებიათ და უინციდენტოდ გამოუსტუმრებიათ სასწავლებლიდან.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა დამტკიცა **ხორცის ნიხრი,** რომლის ძალით 18 სექტემბრიდან გირვანქა ხორცი უნდა იყიდებოდეს შემდეგ ფასებში: უცხო კუთხიდან მოსულ საქონლის პირველი ხარისხისა—12 კაპ., მეორე ხარისხის—11 კაპ. ადგილობრივი საქონლის პირველი ხარისხის—ორ შაურად, მეორე ხარისხის 9 კაპ., ხბოსა და ცხვრის ხორცი—12 კაპ., ღორის ხორცი ორ შაურად, კამეჩის—8 კაპ. და სუკი—19 კაპ.

◆ 18 სექტემბერს, ღამის 2 საათზე ინჟინერის ქუჩაზე, ცეცხლი გაუჩნდა ილარიონ ზაქარიას სახლს. ზაქარაია სახლში არ ყოფილა, მისაშველებლად ყველაზე წინ მივარდნილა იაკინთე აბულაძე, რომელსაც უნახავს სახლში ნავთში დასველებული ჭილობი.

◆ 18 სექტემბერს, დილის 9 საათზე, ბაზარში **რაფიელ მეძმარიაშვილს მოპარეს გასასყიდად ჩამოტანილი 2 ფუთამდე ყველი;** ნაქურდალი მახლობელ ფურნეში მუშა იაკობიშვილს აღმოაჩნდა.

◆ 18 ენკენისთვეს, ნაშუადღევის 4 საათზე, კოწია ტყაბლაძის სახლში შევიდა ნესტორა ხიშტავა თავის ამხანაგებითურთ. **ხიშტავამ დასჭრა დანით კ. ტყაბლაძე** ზურგში და მალაქია ტყაბლაძე მუცელში. ავაზაკები მიიმალნენ.

## ჭიათურა

◆ შავი-ქვის მრეწველთა მორიგი კრება დანიშნულია ოქტომბრის კასულ რიცხვებში.

◆ სამთო სატეხნიკო სასწავლებლის შენობას ამ მოკლე ხანში მოათავებენ და შეუდგებიან შიგნით კედლების შელესვას.

◆ საჭიროა სასანიტარო კომისიამ მიაქციოს ყურადღება ზოგიერთ ეზოთა უსუფთაობას.

## პროვინცია

◆ **ახალშენი მარიენფელდი** (სართიჭალა ტფილისის მაზრა), გადმოსახლებულ გერმანელთა მინდვრებში უცნობებმა მოჰკლეს მეველე ზაქარია ცხვარიაშვილი. ეჭვი მეზობელ სოფლის მულანლოს თათრებზე მიიტანეს, რადგანაც მეორე მეველემ სამედ ალი ოღლიმ განაცხადა, ღამით თოფის ხმა გავიგონე და სამი თათარიც ვნახეო.

◆ **სოფ. სადახლო** (ტფ. მაზრა). იბრაიმ ვალი ოღლიმ ჩხუბის დროს ხუთ ალაგას მძიმედ დასჭრა სოიუდ-მაზ-სოიუნ-ოღლი. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

◆ **ადგილი „გოხარა"** (ტფ. მაზრა). სოფ. ბაშკიჩეთის მცხოვრების ხარლამპი დურნიკოვის გვამი ნახეს. მკვლელი ვერ აღმოაჩინეს.

◆ **სოფ. ტაბრუკა** (ტფ. მაზ.). გიგოლ ციკლაურმა ჩხუბის დროს ხანჯალით თავი გაუპო აბრამ პეტეშვილს, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

◆ **სოფ. დიდ მეჯვრისხევთან** (გორის მაზრა) მთვრალი სარქის აივაზოვი ცხენით მიდიოდა; უცბად გადმოვარდა, ცხენმა წიხლი საფეთქელში გაარტყა და იქვე მოჰკლა.

# საბიბლიოთეკო საქმე

ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკას ხალხის განვითარებისათვის, მაგრამ თუ მივაქცევთ ყურადღებას საქართველოს დაბა-სოფლებს და ქალაქებში გაფანტულ ქართულ ბიბლიოთეკას, დავინახავთ, რომ უმეტეს მათგანს ძალიან ცოტა სარგებლობა მოაქვს. ბიღეთ რომელი ნომერიც გნებავდეთ ქართულ გაზეთისა და უეჭველად შეხვდებით, რომ ესა და ეს ბიბლიოთეკა სულს ღაფავს, ძალიან ცოტა წევრები და გულშემატკივარნი ჰყვანან, ხალხი ბიბლიოთეკით თითქმის არ სარგებლობსო.

თუ პროვინციაში მოხვედრიხართ და შეგიხედნიათ ბიბლიოთეკაში, ყველგან ერთსა და იმავე სურათს ნახავდით: ბიბლიოთეკაში სდგას უზარმაზარი მაგიდა, რომელზედაც მხოლოდ ორი გაზეთი სძევს: ერთი ქართული, მეორე რუსული. კუთხეში პაწაწა შკაფი სდგას დაფლეთილი ქართულ-რუსული წიგნებით. არ იფიქროთ, რომ ეს წიგნები ბიბლიოთეკაში დაიფხრიწა, არა, ეს წიგნები ასე შემოსწირეს ბიბლიოთეკის „გულშემატკივრებმა". პროვინციაში ჩვეულებად აქვთ, რომ რაც სახლში უვარგისი და გამოუსადეგარი წიგნებია, ბიბლიოთეკას შესწირონ და „ქველმოქმედის" სახელიც დაიმსახურონ. ამისათვის არის რომ, ყოველ წლობით ბიბლიოთეკის წიგნთა რიცხვი იზრდება, და როცა წიგნები არ ეტევა შკაფში, მაშინ იმათ იქავე, კუნჭულში, ალაგებენ. კუნჭულში დალაგებულ წიგნებში ყველანაირი ჟურნალებია „Русская старина"-დან დაწყებული „მოამბე" „ჯეჯილამდე", მაგრამ ამ ჟურნალებს ზოგს თავი აკლია, ზოგს ბოლო. „კუნჭული" წლითი-წლობით იზრდება, ვიდრე ან თვით ბიბლიოთეკის მეთვალყურე, ან სხვა ვინმე ამ წიგნებს სხვანაირად არ გამოიყენებს. აი რა მდგომარეობაშია ჩვენი ბიბლიოთეკის უმეტესი ნაწილი.

რა არის მიზეზი ჩვენი ბიბლიოთეკების ასე დაქვეითებისა?

ჩემის აზრით უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ ჩვენს ბიბლიოთეკებს მკითხველი თითქმის არა ჰყავს. წიგნები უნდა წარმოადგენდეს არა ასოთა ან სიტყვათა და წინადადებათა წყებას, არა გასართობს, არა დასაძინებელ საშუალებას,*) არამედ სულიერ საზრდოს, რომელსაც ადამიანის გონება ისე უნდა ითვისებდეს, როგორც კუჭი საჭმელს. მკითხველი წიგნს ისე უნდა უყურებდეს, როგორც მასწავლებელს, დამრიგებელს, ამხანაგს; იგი წიგნში უნდა ეძებდეს ათას გვარ კითხვის პასუხს მაგრამ ამისთანა მკითხველი ძალიან ცოტა მოეპოვება ჩვენ ბიბლიოთეკებს. თუ გვსურს, ბიბლიოთეკები ჰყვაოდეს უნდა შევიძინოთ შეგნებული მკითხველი. რასაკვირველია, კარგათ დაყენებულ ბიბლიოთეკას შეუძლიან ხელი შეუწყოს შეგნებული მკითხველის შექმნას, მაგრამ შეგნებულ მკითხველს უმთავრესად სკოლა უნდა გვიმზადებდეს. ბავშვები სკოლაშივე უნდა ეჩვევოდნენ შეგნებულად კითხვას, სკოლაშივე უნდა გაიგონ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წიგნს ადამიანის განვითარებისათვის. სკოლამ ისეთ ნაირად უნდა შეაყვაროს მოსწავლეს კითხვა, რომ ეს სიყვარული მათ მთელ სიცოცხლეში გაჰყვეს.

პირველ დაწყებით სკოლებში საქმე ისეა დაყენებული, რომ იქიდან იშვიათად გამოვა შეგნებული მკითხველი. სკოლის გათავების შემდეგ მოსწავლე ყოველნაირ კავშირსა სწყვეტს სკოლასთან, ივიწყებს ყველაფერს, რაც კი სკოლაში მოიპოვა, წერა-კითხვასაც კი. ამის გარდა, პირველ დაწყებით სკოლებში თითქმის არ არსებობს მოსწავლეთათვის ბიბლიოთეკა; და თუ არსებობს სადმე, მათ არავითარი მნიშვნელობა აქვთ, რადგანაც მასწავლებლები წიგნების მოსწავლეთათვის დარიგებაში თავს არ იცხელებენ.

მხოლოდ საქალაქო სასწავლებლებს კიდევ შეეძლოთ რაიმე სარგებლობა მოეტანათ, შეეძლოთ მოსწავლენი მიეჩვიათ შეგნებულ კითხვას, შეეყვარებინათ სამშობლო და რუსეთის ლიტერატურა, მაგრამ საუბედუროთ თითქმის საქართველოს არც ერთ საქალაქო სასწავლებლის ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება ქართული წიგნი. ამასაც რომ თავი დავანებოთ, სკოლაში საბიბლიოთეკო საქმისთვის საჭიროა გამოცდილი და საქმის მცოდნე ბიბლიოთეკის მეთვალყურე, რომელსაც შეეძლება ხელმძღვანელობა გაუწიოს მოსწავლეებს წიგნების კითხვაში. (თუმცა რამდენიმე სასწავლებელში ბიბლიოთეკის მეთვალყურის მოვალეობას შეადგენს მარტო წიგნების გადაცემა საგნის მასწავლებელზე, მაგრამ ბიბლიოთეკის მეთვალყურეს კიდევ გამოცდილება სჭირია წიგნების დალაგება-მოვლაში, ამორჩევაში და სწავლისათვის ხელსაწყო საგნების მოწესრიგებაში). საუბედუროდ საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლებში იშვიათად მოიპოვება საბიბლიოთეკო საქმის მცოდნე. საოსტატო ინსტიტუტში და სემინარიებში საბიბლიოთეკო საქმეს თითქმის არ ასწავლიან.*) ამის გარდა, ზოგიერთ საქალაქო სასწავლებლებში მიღებულია ბიბლიოთეკის მეთვალყურის ყოველ წლივ გამოცვლა, რის გამოც ბიბლიოთეკის საქმე ფერხდება, და საკვირველიც არ უნდა იყოს, თუ სასკოლო ბიბლიოთეკა თითქმის ვერაფერ სარგებლობას იძლევა.

მაშასადამე უმთავრესი მიზეზი ჩვენი ბიბლიოთეკის ჩამოქვეითებისა არის, მკითხველების მოუმზადებლობა, რაშიაც ბრალი ედებათ ჩვენებურ სკოლებში ცუდათ დაყენებულ საბიბლიოთეკო საქმეს.

რუსეთში დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება ბიბლიოთეკის დაქვეითებას. ამ ზაფხულს მოწვეულ იქმნა პეტერბურგში სრულიად რუსეთის ბიბლიოთეკართა კრება. ამ კრებას დაესწრო 260 კაცი. კრებაზე მონაწილეობას იღებდნენ როგორც საუნივერსიტეტო და საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკები, აგრეთვე წვრილი საჯარო ბიბლიოთეკანი. ამ კრებაზე გამოითქვა სურვილი, რომ ბიბლიოთეკრად ინიშნებოდეს ისეთი პირი, რომელსაც განათლება მიუღია არა ნაკლები სახალხო მასწავლებლისა, და ჯამაგირიც იმდენივე მიეცეს, რაც სახალხო მასწავლებელს. ბიბლიოთეკარმა უნდა მართოს ხოლმე დროგამოშვებით ხალხისათვის კითხვები, რათა ხალხს შეაყვაროს კითხვა;

ამის გარდა კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუციები:

1) შესდგეს ნორმალური კატალოგი, რომელიც უნდა იხელმძღვანელონ ბიბლიოთეკისათვის წიგნების შეძენის დროს. ის წიგნები, რომლებიც უსაჭიროესნი არიან სახალხო ბიბლიოთეკისათვის, უნდა აღინიშნოს რაიმე ნიშნით. საბროშურო ლიტერატურა ბიბლიოთეკებში უნდა შემცირდეს.

2) ეთხოვოს ბეჭვდითი საქმის უმთავრესს სამმართველოს, უფასოდ უგზავნოს ბიბლიოთეკებს აკრძალული წიგნების სია, რომ ბიბლიოთეკებს შეეძლოთ, აკრძალული წიგნების დროზე გამორიცხვა და ადმინისტრაციის სასჯელის თავიდან აცდენა. აკრძალული წიგნები უნდა ცალკე ინახებოდეს დაკეტილში.

3) ეთხოვოს წიგნების გამომცემელთა კრებას, რომელიც უნდა მოხდეს მოსკოვში, რათა ყველა გამომცემლებმა ბიბლიოთეკებს იაფათ დაუთმონ ხოლმე წიგნები,

4) იმის გამოსარკვევად, თუ რა მდგომარეობაშია ბიბლიოთეკები, მოხდეს ანკეტა, რის შემდეგიც მოჰხსენდეს მეორე კრებას, რომელიც შესდგება 1912 წ. გაზაფხულზე მოსკოვში.

5) რათა საბიბლიოთეკო საქმე უკეთ მიდიოდეს: საჭიროა საქალაქო და საერობო დაწესებულებანი მოეწყონ დემოკრატიულ პრინციპებზე და ერობა შემოღებულ იქმნას იქ, სადაც არ არსებობს.

6. საერობო და საქალაქო ბიბლიოთეკებით სარგებლობა უფასო იყოს.

7. დაარსდნენ საზოგადოებანი, რომელნიც ეცდებიან მიყრუებულ ალაგებში ბიბლიოთეკის გახსნას.

8. ზაფხულობით ბიბლიოთეკრებისთვის საბიბლიოთეკო საქმის შესასწავლად კურსები იმართებოდეს.

9. ბიბლიოთეკათა ტეხნიკის შესახებ ორი მოხსენება იყო წარდგენილი; ერთი თხოულობდა ბიბლიოთეკაში წიგნები სისტემატიური კატალოგის მიხედვით იყონ დალაგებული, მეორე კი თხოულობდა, წიგნები ფორმატის მიხედვით დაალაგონ და წიგნები დანუმრულიყვნენ ზედ მიყოლებით ისე, როგორც ქრონოლოგიურ კატალოგშია. კრებამ უკანასკნელი წინადადება მიიღო.

10. რადგანაც წიგნების დეზინფექციას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს რთული კითხვა ჯერ გამოურკვეველია, ამისათვის კრებამ დაადგინა, ეთხოვოს პიროგოვის საზოგადოებას, რათა ეს საკითხი გაარჩიოს.

კარგი იქნება თუ წერა-კითხვის საზოგადოება მომავალ კრებაზე მაინც მიიღებს მონაწილეობას და თავის ბიბლიოთეკებს მოაწყობს თანახმად კრების დადგენილებისა.

**დ. ბურჭულაძე.**

*) ბევრი წიგნს მხოლოდ ძილის წინ კითხულობს, ძილი მოუვიდეს.

*) ეს სამიწელიწადია, რაც საოსტატო ინსტიტუტში გადიან საბიბლიოთეკო საქმეს, მაგრამ საფუძვლიან ნიადაგზედ არ არის დაყენებული,

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

## ომის პირველი დღე

იტალიის მხრივ ომის დაწყებას ოსმალეთის მთავრობა სრულიად მოუმზადებელი დაუხვდა. როგორც დეპეშები იუწყებიან, ოსმალეთის ფლოტს, რომელიც ამ ჟამად სავარჯიშოდ, ეგეის ზღვაში იმყოფება, ომის დაწყება არც კი გაუგია და ოსმალეთის მთავრობამ, რომელმაც არც კი იცის დანამდვილებით, თუ მისი ფლოტი სახელდობრ რა ადგილას არის, დეპეშა გაუგზავნა

ეგეის ზღვის კუნძულების გუბერნატორებს, რაც შეიძლება საჩქაროდ შეატყობინონ ეს ამბავი ოსმალეთის ფლოტსაო. ასეთი შემთხვევით, თუ დეპეშებს დაუჯერებთ, ჰსურს ისარგებლოს იტალიამ. ნაწილი მისი ფლოტისა, რა თქმა უნდა, ოსმალეთის ფლოტზე უფრო ძლიერი, მიდის დარდანელისაკენ, რათა ოსმალეთის ფლოტს დაბრუნებისას გზა გადაუღობოს. ალბად ეს შემთხვევა მიიღო მხედველობაში ოსმალეთმა, როდესაც ბრძანება მისცა სტამბოლში დარჩენილ ერთად-ერთ ჯავშნოსან კრეისერს „მესსუდიეს“ ზღვაში გასულიყოს: ოსმალეთს ჰსურს ცოტათი მაინც გააძლიეროს თავისი ფლოტი ეგეის ზღვაში.

მაგრამ იტალია ხმით როდი კმაყოფილდება. როგორც იტალიის ფლოტის უფროსი ჰერცოგია ბრუცელი იტალიის მეფეს დეპეშით ატყობინებს 16 სექტემბრიდან იტალიის ფლოტის მეორე ნაწილი ადრიატიკის ზღვისაკენ გაეშურა და არტოს „ყურეს“ მიადგა. არტოს „ყურე“ საბერძნეთსა და ოსმალეთს შუა მდებარეობს და მის ნაპირად ოსმალეთის სიმაგრეა, საპელად პრევეზა. თურმე აქ, ამ „ყურეში“ თავი მოიყარა ოსმალეთის ნაღმოსნებმა და აქედან ისინი დაიწყებდენ დაჭერას იტალიის სავაჭრო გემებისას ადრიატიკის ზღვაზე. ამ სურვილის დასარღვევად იტალიამ თავისი მეორე ესკადრა სწორედ აქ შეკრიბა. ამ ესკადრას უკვე მოუხდა შეტაკება ოსმალეთის ნაღმოსნებთან და, როგორც მოსალოდნელი იყო, ძლიერმა ფლოტმა აჯობა შედარებით სუსტ ნაღმოსნებს და ორი მათგანი დადუპა კიდეც. ამის შემდეგ იტალიელებმა ოსმალეთის ნაპირზე, პრევეზას სიახლოვეს, გადმოსხეს ჯარი. ამ ჯარის გადმოსხმას, რა მიზანი აქვს ჯერ გამორკვეული არ არის. იქვე არტოს „ყურესთან“ იტალიის ფლოტმა ოსმალთა ტრანსპორტი დაიჭირა დიდძალი სანოვაგით და 5 ოსმალო აფიცერითა და 162 ჯარის კაცით.

ომის მესამე ასპარეზი ტრიპოლია. ჯერ-ჯერობით იტალიას ტრიპოლის ნაპირზე ჯარი არ გადმოუსხავს, მაგრამ ექვს გარეშემო, ასე მოიქცევა და ოსმალეთი ხელსაც ვერ შეუშლის. უკანასკნელი დეპეშები იუწყებიან, ოსმალოს ჯარი ქალაქ ტრიპოლის სტოვებს და უკან იხევს იმ იმედით, რომ თავის ქვეყნის შუაგულ ნაწილში სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს იტალიელებს, ნაპირებზე კი ისინი უძლურნი იქნებიან იტალიის სამხედრო გემების უზარმაზარ ზარბაზნების წინააღმდეგ.

## დეპეშები.

19 სექტემბერი.

**სტამბოლი.** იტალიის საელჩოს უმეტესი ნაწილი გემით წავიდა, ლესპანი—სწრაფით. პრესა აღშფოთებული მიეგება საიდ-ფაშას, პრევეზას დიდ-ძალი ჯარი გაგზავნეს. იტალიელებთან დიდ შეტაკებას მოელიან. იტალიელები დურაცოს გადავიდნენ.

არაბთა თემები ტრიპოლისთან გროვდებიან, რომელიც მოპირდაპირეს ჯერ არ აქვიდა. ამბობენ, იტალიელებმა მიტილენი აიღესო. იანინის ვალი იტყობინება, პრევეზასთან 1,600 იტალიელი მოვიდაო.

ხმა დადის, მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა რედიფები მცირე აზიის 16 ოლქში მოაგროვოს. სხვები ამბობენ, საერთო მობილიზაციაა გამოცხადებულიო.

ალბანიაში ჯარის უფროსად ჯავიდ-ფაშა დანიშნეს.

ოსმალეთის 16 საომარი გემიდან დარდანელს 8 მოვიდა, პორტ-საიდს ერთი ჯავსნოსანი „ქაიროდინ ბარბაროსა“ მოვიდა. საბერძო „სავაქი“ ადრიატიის ზღვაზე იტალიელებმა ჯარიანად დაიჭირეს.

ხმა გავარდა, ოსმალოთა ჯარი პრევეზას გადმოსულ 1,600 იტალიელს დაეცა და გაცხარებული ომიაო.

კაბინეტის შედგენა კიდევ ძნელდება. ზოგმა უარი სთქვა, მაგალითად, ქიამილ-ფაშამ. პარლამენტს 24 სექტემბერს მოიწვევენ. კაბინეტის შედგენა იმიტომ უფრო ძნელდება, რომ საქმეში „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტი ჩაერია. სულთანმა, ძველ სირალში წინასწარმეტყველის ზირლის თაყვანისცემის შემდეგ, კიამილ-ფაშა მიიღო.

პორტამ სახელმწიფოებისაგან პასუხი მიიღო. ისინი ამბობენ, საქმეში ვერ ჩავერევითო. დღეს საიდმა სახელმწიფოებისთვის გასაგზავნი ნოტა შეიმუშავა. ნოტაში სახელმწიფოებს წინა მიმართვას მოაგონებს ოსმალეთს ჯერ ომი არ დაუწყვია და სისხლის ღვრას ხელი შეუშალეთო. გერმანიის ელჩი მარშალფონ-ბიბერშტეინი სულთანთან იყო.

**სალონიკი.** ხმა დავარდა, კარაბურნუს ბატარეიებთან იტალიის გემები მივიდაო. ეროვნულ დაცვის კომიტეტი დაარსდა. მოხალისეთა რაზმს ადგენენ.

**სოფია.** საპოლიტიკო წრეები პრევეზაში იტალიელთა გადასვლის ამბავმა საგონებელში ჩააგდო. ნაციონალისტური გაზეთები იტალიას ჰგმობენ იმ წინადადებისთვის,—რომ ბალკანეთში ცვლილება არა მოსალოდ-რაო; ამ ნოტას ბულგარეთის შეურაცხმყოფლად სთვლიან.

**ბელგრადი.** სერბიამ გადასწყვიტა ბალკანეთში მოძრაობის გამწვავებას საშიში არ მისცეს.

**პარიზი.** იტალიის ელჩმა გარეშე საქმეთა მინისტრს უთხრა, იტალიამ გაიგო, ოსმალეთს უნდა ჯარი საბარგო გემებით ნაპირზე გადასხასო. ამიტომ იძულებული იყო ევროპის ზღვებზე საომარი ოპერაციები დაიწყო, თუმცა სხვა სახელმწიფოების სურვილს, ბალკანეთში სტატუს-ქვოს დაცვაში უერთდება.

**რომი.** „სტეფანის“ სიტყვით იტალიელების პრევეზას გადასვლა ტყუილია; პრევეზა ოსმალეთის ნაღმოსანთა საიერიშო ასპარეზია და იტალიის სავაჭრო წარმოებას ხელს უშლისო.

**ლონდონი.** (რეიტერი). ოსმალეთის ელჩმა გრეის შეატყობინა, საქმეში დიდ სახელმწიფოთა ჩარევა საჭიროაო. ამასთანავე წინადადება სხვა სახელმწიფოებსაც მისცეს. ოსმალეთს შეატყობინეს, სახელმწიფოები სრულს ნეიტრალიტეტს დაიცავენო.

**ბერლინი.** სარწმუნო წყაროები იტყობინება ტყუილია ხმები, ვითომც საომარ ადგილს გერმანიას ჯარი გაეგზავნისო.

**ათინა.** ათინას დეპეშათა სააგენტო იტყობინება, ოსმალეთის რწმუნებულმა გარეშე საქმეთა მინისტრს უთხრა, ბერძნებს საზღვარზე ჯარის თავმოყრა არ უნდა აფიქრებდეთ, ამ თავმოყრას იტალიის ომთან აქვს კავშირიო.

**რომი.** „სტეფანი“ იტყობინება, რადის ტელეგრაფის სადგური დერნაში იტალიის კრეისერმა დაანგრიაო. ტრიპოლისა და ტუნისის ტელეგრაფის მავთული გაწყვეტილია.

**აუგუსტა** (სიცილია). აქ მოსულ გემის მგზავრებმა განაცხადეს, იტალიას 17 სექტემბრის 8 საათამდე სროლა არ დაუწყია,—ჯერ ევროპიელები გამოვიდნენო.

**რომი.** სტეფანის სიტყვით, ცნობა, ალბანეთის ნავთსადგურს რეზადიესა და მურტს ყუმბარები დაუშინესო,-ტყუილია.

**კალკუტა.** მაჰმადიანთა კრებამ ლონდონში გარეშე საქმეთა მინისტრს დეპეშა გაუგზავნა, ინგლისს ყველაზე მეტი მაჰმადიანი ქვეშევრდომი ჰყავს, იტალიის თავდასხმა უნდა შეაჩეროსო. დიდ ვეზირს შეუთვალეს, ისლამის ღირსება დაიცავითო.

**მალტა.** ტრიპოლიდან 1,300 გამოქცეულის მგზავრითურთ ინგლისის გემი მოვიდა.


# მიიღება ხელის მოწერა

(მხოლოდ 15 ოქტომბრამდე)

## არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა მე-IV წიგნზე.

**წერილები „ცნობის ფურცელ-მოამბიდან“ 1901—2 წ.**

ხელის მოწერით ღირება 45 კაპ. (გამოვა 300 გვ. მეტი). ფოსტის ხარჯად 10 კაპ.

## არჩილ ჯორჯაძის მე-IV წიგნის ხელის მომწერთა საყურადღებოდ

რადგანაც სრულებით მოულოდნელად მეოთხე წიგნი (წერილები „ცნობის ფურცელ-მოამბიდან“ 1901—2 წ.) ნავარაუდევზე ბევრად უფრო მეტი ზომისა გამოდის (300 გვ. მეტი), ამიტომ იძულებული ვართ ამ წიგნის ხელის მოწერის ფასს წავუმატოთ 10 კაპ. და ხელის მოწერის ვადაც გადავდოთ 15 ოქტომბრამდე. იმედი გვაქვს ხელისმომწერნი არ დაგვემდურებიან შუა-ხელის მოწერაზე ხელის მოწერის პირობების შეცვლას. ამნაირად **მე-IV წიგნი ხელის მოწერით ღირება 45 კაპ.** და ვისაც სურს წიგნი ფოსტით მიიღოს ფოსტის ხარჯად უნდა წარმოადგინოს 10 კაპ. (3—1)


# ბიბლიოგრაფია

ჩვენი სოფლის მეურნეობის გაჭირვება ყველას მოეხსენება; ყველასთვის ცხადია, რომ საჭიროა შეტანა ხალხში ახალ მეურნეობის ცოდნისა. ცოდნის გასავრცელებლად ამ ხანად ჩვენ მოგვეპოვება ორი საშუალება სიტყვიერი, ზეპირი და მწერლობითი. ცოდნას ავრცელებენ საგანგებო კაცები—აგრონომებად წოდებულნი, რომელთაც მოეპოვებათ საჭირო თეორეტიული პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილება. სიტყვიერად სასოფლო-სამეურნეო ცოდნას აგრონომები ავრცელებენ ასე, რომ დაიარებიან სოფელ-სოფელ და აჩვენებენ, უამბობენ ხალხს ახალ მეურნეობის ამბავს. მაგრამ ეს ზეპირი ქადაგი უნაყოფო რჩება. თუ აგრონომს არ მოეპოვება საჭირო მწერლობა, რომელიც ქაღალდზედ ამოწმებდეს, ადასტურებდეს და აფართოვებდეს იმ უსრულს ცოდნას, რომელსაც მსმენელი იძენს მოკლე ლექციის დროს.

ამ მხრივ დიდს სამსახურს უწევს აგრონომს სასოფლო-სამეურნეო მწერლობა. ბევრჯელ ამგვარ მწერლობის უქონლობა ძალიან აფერხებს აგრონომის მოღვაწეობას და ხელს უცარავს მის მუშაობას.

თავისთავადაც დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო მწერლობას, მეტადრე იქ, სადაც პირველი საშუალება—ზეპირი ქადაგება, არ არსებობს. ამისთანა გარემოებაში დიდი სიფრთხილეა არის საჭირო წიგნის დაწერა-გამოცემაში. დიდი ზიანის მიყენება შეუძლიან უხეირო წიგნს, და დიდი წინდახედულობა სჭირია მეურნეს სახელმძღვანელო წიგნების გარჩევაში.

ჩვენში სამწუხაროდ პირველი, ზეპირი საშუალება არ მოიპოვება; ამ ახლო მომავალში აპირობს ამის მოწყობას ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება; მანამდე კი ჩვენი მოწინავე მეურნე რჩება ქართულ სასოფლო-სამეურნეო მწერლობის ამარა. ამიტომაც საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება მივაქციოთ ჩვენის მეურნეობის ახლად გამართულ და ძველად დაბეჭდილ სასოფლო-სამეურნეო წიგნაკებს.

ამ ხანად ქართული ენით მცირეოდენი წიგნაკები მოგვეპოვება. უმეტესი წილი ამ წიგნებისა დაბეჭდილ-გამოცემულია ი. პ. როსტომაშვილის მიერ; ეს ორი წელიწადია მას მხარში ამოუდგა ჟურნალი „მოსავალი“, რომელიც იბეჭდება ვ. ი. რცხილაძის რედაქტორობით.

ჩვენი სოფლის გაჭირვებამ, სხვათა შორის, წამოაყენა საკითხი საკვებ მასალის გამრავლებისა. ამის ერთადერთი საშუალება ბალახების თესვა და ძირ-ნაყოფების მოყვანაა. სწორედ პირველ საკითხის (ე. ი. ბალახების მოყვანის შესახებ), ამ ახლო ხანში გამოვიდა ორი წიგნაკი, რომელშიაც ავტორები მოგვითხრობენ იონჯის (ალავერდა ბალახის) მოყვანის ამბავს. დავიწყოთ განხილვა ი. პ. როსტომაშვილის წიგნისა,

**„ალავერდა ბალახის“ თესვა-მოყვანა. ივანე როსტომაშვილი. ფასი ერთი შაური, ტფილისი 1910 წ.**

**ი. პ. როსტომაშვილის ხაზალზე და საყმაწვილო გამოცემა, 1910 წ. N 6.**

წიგნაკი შეიცავს 16 გვერდს. პირველ 11 გვერდზე მოთხრობილია: დათესილ ბალახების უპირატესობა და მათი მნიშვნელობა საქონლის საკვებად გვ. 3, 4; აქ ი. პ. როსტომაშვილს გვ-4, არ მოჰყავს მიზეზი, თუ რატომ აპოხიერებს მიწას ალავერდა ბალახი (იონჯა); არასფერს იხსენიებს იმისას, რომ იონჯა აზოტით ასუქებს მიწას; აზოტი კი ყველაზე საჭირო და ძვირი სასუქია; მე-5—9 გვერდზე მართალია და მოთხრობილი სთიბების მოვლის ამბავი; არაფერი აქვს მოთხრობილი თუ სად რა და რა გავლენა აქვს სასუქსა და დაფარცხვას სთიბის გამოკეთებაზე. ხოლო საგუბრების გამართვას თითქმის ერთი გვერდი აქვს დათმობილი. მე9—10 გვერდზე გვიამბობს ბალახის თესვისა და შინ საქონლის შენახვის სარფიანობას; მე 11 გვერდიდან იწყებს ალავერდა ბალახის (იონჯას) მოყვანის ამბავს. 11—12 გვერდზე ვკითხულობთ საქონლის მოშენებისა და მის მნიშვნელობაზე, მხოლოდ მე-13 გვერდიდან იწყება სათაურის შინაარსი.

აქ ბ. ი. პ. როსტომაშვილს დიდი შეცდომა აქვს მიშვებული: **დღიურზე საშუალოდ** ალავერდა ბალახი მოდის 250 ფუთი და არა 5(0—600, როგორცა სწერს იგი.

არაფერი აქვს მოხსენებული, თუ როგორ მოქმედობს ალავერდა ბალახი (იონჯა) მოსავალზე, როგორც სასუქი. არც ისა აქვს ახსნილი, თუ რით ასუქებს იონჯა მიწას, რის გამოისობით (გვ. 13); ცოტა ქვევით, მიწის დამუშავებისას როცა სწერს, არაფერს ამბობს, თუ რატომ არის საჭირო მიწის შემოდგომიდანვე მოხვნა, არაფერს ამბობს არც უცხო, შემორეულ ბალახის, მეტადრე კაპუეტა ბალახის Triticum replus) მავნებლობისას, საიონჯოდ უცხო ბალახისაგან გასუფთავებული მიწის საჭიროებისას; 15 გვერდზედ აღნიშნული გამარგვლა იონჯასი შეიძლება მხოლოდ ბოსტანში, სადაც მწკრივად არის ჩარიგებული იონჯა; ყანაში კი ეს შეუძლებელია და არც საჭიროა. წიგნში თვით საგნისა ნაკლებადაა თქმული, ბევრიც რამ გამოტოვებულია: არაფერია ნათქვამი იონჯის მოვლისა გაზაფხულობით; ყველა მის რჩევა-დარიგებას რეცეპტიური ხასიათი აქვს—განმარტება ნაკლებია, სოფლის მეურნეობაში კი რეცეპტი არ გამოდგება. ფასი ერთი შაური ძვირი არ არის.

**„იონჯა“ ვ. გულბაათიშვილის რედაქტორობით გამოცემა ჟურნალ „მოსავლისა“ 1911 წელს, ფასი ერთი შაური.**

წიგნაკი შეიცავს 26 გვერდს მცირე ფორმატისას. ავტორს წიგნში არა აქვს მოხსენებული, თუ რამდენს წელსა სძლებს ერთს ადგილას იონჯა; ცნობა, ვითომც იონჯა საჭიროებდეს ნიადაგს წყლის სიახლოვეს, არ არის სწორი; არ არის მოხსენებული, რომ შემოდგომით მოხვნა საიონჯო მიწისა საჭიროა უცხო ბალახის გასაწყვეტად. არაფერი აქვს მოხსენებული, თუ რა სიღრმეზე უნდა დაითესოს იონჯა; მე-9 გვერდზე, არ ვიცი რა მოსაზრებით, რკინის ფარცხს უცნობი მთარგმნელი და რედაქტორი ბ. ვ. გულბაათიშვილი „რუსულს“ უწოდებენ! რადა? გაზაფხულზე იონჯის მოსავლელად საჭიროა დაფარცხვა მსუბუქ რკინის ფარცხით, მთარგმნელს კი ჩაუწერია, უეჭველად ხის კბილებიანი ფარცხითაო; ეს სწორი არ არის.

მე-13 გვერდზედ, იონჯის შენახვა ვერ არის ახსნილი რიგიანად, გარკვევით; ტყუილ-უბრალოდ არის ნახმარი ხალხისთვის გაუგებარი სიტყვა—„არომატიული“.

მე-14 გვერდზედ, საქონლის კვებისას რომ სწერს, მოხსენებულია, „ვიდრე საქონელი შეეჩვეოდეს იონჯას, უნდა ზომიერად ვაძლიოთ“. ზომიერება მუდამ საჭიროა, თორემ მიჩვეული ძროხაც წავიხდებათ. ფასი ერთი შაური, მცირე ფორმატის წიგნისა ძვირია.

ორივე წიგნაკის დიდი ნაკლი—სურათების უქონლობაა; ი. პ. როსტომაშვილის წიგნაკის პირველს გვერდზედ თუმცა დატანებული აქვს სურათი იონჯისა, მაგრამ სურათი ძალიან უხეიროა. „მოსავლის“ გამოცემას სურათი სრულებით არა აქვს; პრაქტიკამ კი გამოარკვია, რომ საჭიროა აუცილებლივ სურათები; ყველა მაგალითები, რომ გლეხებს, უცოდინარობის გამო, გაუნადგურებიათ მოსავალი, მხოლოდ იმიტომ, რომ არა სცოდნიათ რა სახისაა ბალახი.

ჩემი დასკვნა—საჭიროა ორივე წიგნაკის სყიდვა; ერთი უმეოროდ არ ვარგა; ორი ერთად უფრო გამოდგება, ვიდრე ცალ-ცალკე.

ე. კარბელაშვილი.

# მაროკოს საქმე

## დეპეშები.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოში დესელვმა განაცხადა, საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების საქმე კარგად მიდისო.

**პარიზი.** მაროკოს საკითხში თითქმის შეთანხმდნენ. ზოგიერთი სადაო რამ დარჩა, რომელიც სიტყვებს უფრო შეიცავს, ვიდრე ფორმულას. კამბონსა და კიდერლენ-ვეხტერს ხელ შეკრულების ისეთი ტექსტის შემუშავება უნდათ, მომავალში რაიმე კამათის ატეხა შეუძლებელი იყოს. მოპირდაპირენი მაინც არ ჰმალავენ, კონგოს საკითხი საფრთხილოა და ძნელი გადასაწყვეტიო.

## გაზეთებიდან

**მოლაპარაკება.**

„ნეიე-ფრიეი-პრესემ“ სასენსაციო ამბავი დაბეჭდა. პარიზშიო,—ამბობს იგი,—გერმანიის პასუხი მიიღეს, რომელიც ახალ მოთხოვნილებებს შეიცავს. გაზეთი ამბობს, ამ პირობებში, ძნელია მაროკოს საქმის მალე გათავებას მოველოდეთო.

იმავე გაზეთის ცნობით, პარიზში ჰფიქრობენ, გერმანიის ახალი მოთხოვნილებებს ტრიპოლის საკითხთანა აქვს კავშირიო.

**იფნის დაჭერა.**

მადრიდში პრემიერმა კანალახესმა სთქვა, ესპანიის ჯარი აგადირის სამხრეთით მდებარე პორტ იფნის მალე დაიჭერსო.

სახელმწიფო საბჭომ მის საჭიროებისათვის 25 მილიონის სესხის აღება გადასწყვიტა.

**ბელგიის დაცვა.**

„დეილ ტელეგრაფის“ ბრუსელის კორესპონდენტი იტყობინება, ბელგია საზღვრებს ამაგრებს იმ შემთხვევისათვის, თუ ევროპის სახელმწიფოთა ომი დაიწყო.

ამ საქმეში დიდს მონაწილეობას იღებს ახალგაზდა, ენერგიული, მეფე ალბერტი.

**ეროვნულ თავდაცვის კომიტეტი.**

ბელგიაში პრესა სამხედრო სამინისტროს ემდურის. საერთაშორისო მდგომარეობაც საშიშოა და ამიტომ მეფე ალბერტმა საკითხი აღძრა, ეროვნულ თავდაცვის კომიტეტი დავაარსოთ ჩემის თავმჯდომარეობითაო.

# სტოლიპინის მოკვლის გამო

**საეჭვო სიკვდილი.**

სტოლიპინის მოკვლის რამდენიმე დღის წინად, სახელდობრ 26 აგვისტოს, კიევის დამცველმა პოლიციამ ერთი კაცი დააპატიმრა, რომელიც კიევში მურავიოვის სახელით სცხოვრობდა. ამ მურავიოვს იუდიანსაც ეძახდნენ. პოლიციამ შეიტყო, ამ მურავიოვს ერთი უმაღლესი პირის მოკვლა უნდოდა კიევის დღესასწაულის დროსაო. დამცველ პოლიციაში მოყვანისათანავე მურავიოვმა თავი მოიკლა. სტოლიპინის მოკვლის შემდეგ ბაგროვისა და მურავიოვის საქმე ხალხმა ერთმანეთს დაუკავშირა: ბაგროვი ხელმძღვანელი იყო, იუდინი ამსრულებელიო. ეჭვი უჩნდათ, დამცველ პოლიციაში მიყვანამდე ხომ გასჩხრეკდნენ, რევოლვერი საიდან იშოვნა თავის მოსაკლავადაო; ალბად დამცველ პოლიციაში თუ მოჰკლესო.

ექიმი ტურკევიჩი, რომელიც მომაკვდავის საშველად იყო მიწვეული, ამბობს: სწრაფ დამხმარე ეტლით წავედი. პატარა ოთახში შემიყვანეს, იატაკზე ახალგაზდა კაცი ეგდო და თავი კუთხეში ჩამოკიდებულ ხატზე ჰქონდა მიბჯენილი. მარჯვენა, საფეთქელი ტყვიით ჰქონდა განგმირული და ტვინი სჩანდა. გული ისევ უცემდა. ვიცოდი, შველა აღარ შეიძლებოდა, მაგრამ მაინც სიკვდილამდე არ დამიტოვებია. ოქმის შედგენის დროს ვკითხე, ვინ იყო მიცვალებული მეთქი, მიპასუხეს: „არ ვიცითო“.

გარეგანი შეხედულება მიცვალებულს 25 წლის ადამიანისა ჰქონდა. დამცველ პოლიციის უფროსმა 23 წელი სთქვა და როტმისტრმა—20. ვკითხე, რა რევოლვერით მოიკლა თავი მეთქი და მითხრეს „ბრაუნინგითაო“. არ ვიცი, მართლა თითონ მოიკლა თავი, თუ დამცველ პოლიციაში მოჰკლეს. ამის გაგება შეიძლებოდა, ვინმე სპეციალისტი რომ ყოფილიყო. მე კი მაშინ ეს არ მაინტერესებდა და არც დავკვირვებივარო.

# მუშათა სოლიდარობა

ამ სათაურით ამას წინად გაზეთ „რეჩ“-ში იყო დაბეჭდილი წერილი იტალიიდან, საიდანაც მკითხველი დაინახავს, თუ რა სოლიდარობა, თანაგრძნობა, ჭაპირვების დროს ერთმანეთის გამტანლობა სუფევს იტალიელ მუშათა შორის. შეიძლება ამ წერილში მოთხრობილი ამბავი დღევანდელ სინამდვილის მოწამე მკითხველს ზღაპარი ეგონოს, ეუცხოვოს, ეჭვი შეიტანოს, მაგრამ წერილის ავტორის სიტყვით, ყველაფერი ხალასი ჭეშმარიტებაა, ლამაზ სიტყვებით შეუზავებელი, გაუზვიადებელი. მოგვყავს აქ ამ წერილის შინაარსი:

„მე მინდა გიამბოთ იმ მშვენიერ ჩვეულებაზე, —ამბობს კორესპონდენტი,—რომელიც იტალიაში შემოღებული და მოქალაქობრივი უფლება 1907 წ. სოფლის მუშათა ცნობილ ფერრარ-პარმის გაფიცვიდან მიიღო.

იტალია დიდ თუ პატარა გაფიცვების ქვეყანაა. ან კი რა საკვირველია! მცხოვრებლები მცირე ადგილზეა მოქუჩული, ხალხს დასამუშავებელი მიწა არა ჰყოფნის, ამას გარდა ხელფასი ხან ძალიან ეცემა, ხან მატულობს, ამიტომაც იტალიაში ხან იქ, ხან აქ მეფობს გაფიცვა და... სიმშილი.

იმ დროს, როცა ხელ-ფასის მომატებისათვის მოზრდილნი იბრძვიან და შრომის კამერებში ამ ბრძოლისათვის ზომებს იმუშავებენ, იმ დროს, როცა ოფლში გაწურული, მხვილძარღვა მამაკაცები ფიცსა სდებენ, „ნუ დავუთმობთ და დავიხოცნეთო“, როცა პრესა გაფიცვას მხარს უჭერს, ან და მის წინაღმდეგ მოჰყავს საბუთები, მუშების ოჯახს სიმშილი ესტუმრება ხოლმე. იტალიელები ნაყოფიერი ხალხია. გლეხისა თუ მუშის ოჯახი „ნაკურთხი“ ოჯახია, როგორც დაბადება უწოდებს მრავალრიცხვოვან ოჯახებს, მაგრამ ეს კურთხევა ხშირად იცვლება ხოლმე წყევლად, გაფიცვების დროს კი მუდამ ბავშვები პურსა თხოულობენ, სახლში კი აღარაფერია და ამიტომ სახადი, კუჭის ავადმყოფობა, სიმშილისაგან გამოწვეული ციება მუსრს ავლებს მათ, ამ უტყვ მსხვერპლთ კაპიტალისა და შრომის შორის გამართულ ბრძოლისა.

(დასასრული იქნება).

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 სექტემბერი.

## საზღვარ-გარედ.

**ხანკოუ.** ჩინეთის მთავრობამ ევროპიელებს აცნობა, აქ რევოლიუციონერები მოვიდნენო; ჩინეთის ჯარს ვერ ენდობიან.

**კონსტანცა.** რუსეთის ესკადრა ზღვაში გავიდა.

**მექსიკო.** რესპუბლიკის პრეზიდენტად მადერო აირჩიეს.

**ბერლინი.** რეიხსტაგის სესია 4 ოქტომბერს გაიხსნება. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ედნთა მომამზადებელი სკოლა გაიხსნა. კიდერლენ-ვეხტერმა ამ სკოლის დიდი მნიშვნელობა აღნიშნა გერმანიის ქონებრივ მდგომარეობისათვის.

**ანტვერპენი.** შელდაზე კრიგაღის დროს 80 გემი დაიღუპა, 40 ჩაიძირა. ადამიანის მსხვერპლიც ბევრია.

## რუსეთი.

**მინსკი.** შვიდის დღის საქმის გარჩევის შემდეგ გაამართლეს მემამულე ცეკკერტი, რომელსაც საერთო უფროსის აღმაშენის მოკვლა ჰბრალდებოდა.

**ვარშავა.** დუბლინის მემამულემ, რომელიც ზაკოპანის ნომრებში იყო, ხრჟანოვსკის მოკვლის დღეს, განაცხადა: ხრჟანოვსკი ერთ ქალთან გვახ დამე მიმავალიო. ამ ამბავმა მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რადგანაც დამნაშავე არ ჩანსო.

ქალაქის განაპირას ებრაელებთან შეტაკება მოუხდათ მუშებს, რომელნიც სიძვირის გამო იყვნენ აღელვებულნი. ხსუბში ორი ქრისტიანი და სამი ებრაელი დასჭრეს.

**კიევი.** ნაციონალისტთა კრებაზე სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, ნიკანორის ეპისკოპოსი მოულოდნელად გარდაიცვალა.

**ეკატერინოსლავი.** ილარიონ-სინელნიკოვოს გზაზე ლიანდაგის განზრახ გაფუჭების გამო სწრაფი მატარებელი გზას გადასცდა; ერთი ვაგონი დაიმსხვრა, ცეცხლმქრობი და ორი ვაგონი დაზიანდა. 20 კაცი დაიჭრა. უბედურების ადგილს მთავრობის მოხელენი წავიდნენ.

**მოსკოვი.** დაიწყო 14 კაცის საქმის გარჩევა, რომელნიც საპარკო ვაგონების გაძარცვას ბრალდებიან.

**ჰელსინგფორსი.** აბოდან იტყობინებიან, აბოს გოფგერიტში ხირგიჯანტა მოჭკლეს. მკვლელმაც თავი მოიკლა.

**ფ რ ა ნ ც ი ა**

**პეტერბურგი.** კრონშტატი, საავიაციო სკოლის სამი აფიცერი ფრით, თეთრი ზღვის ნაპირას, კანდალაკშაში დაეშვა. 14 საათში 800 ვერსი გაიარა.

**რიგიდან.** 17 სექტემბრის ძველ კრონშტატის მგზავრები ბრესლავის უნივერსიტეტის პროფესორები არიან.

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** შაბათს, 17 სექტემბერს, გაიხსნა ქუთაისში სათეატრო სეზონი. წარმოადგინეს ჟულავსკის ხუთ მოქმედებიანი დრამატიული პოემა „ეროს და ფსიხეა", თარგმანი ბაბილინასი.

როგორც მოსალოდნელი იყო, წარმოდგენამ იმდენი საზოგადოება მიიზიდა, რომ თეატრში ტევა აღარ იყო.

წარმოდგენამ ძლიერ კარგად ჩაიარა. ყველაფერში სჩანდა რეჟისორის ხელი. თუმცა პიესა ლექსადაა ნათარგმნი, მაგრამ მსახიობთ სძლიეს ეს სიძნელე და საზოგადოთ შეგნებულად ასრულებდნენ როლებს.

ფსიხეას მეტად რთული როლი ჩინებულათ შეასრულა ნ. ჩხეიძის ასულმა, რომელსაც ერთხელაც კი არ უმტყუნებია ხელოვნებისათვის.

ბლაკსის როლს ასრულებდა ბ-ნი იმედაშვილი, რომელიც პირველ მოქმედებაში ძლიერ ჰგავდა „ტეტია"-ს, როგორც ხმით ისე მოუხეშაობით და გრიმით; სამაგიეროდ, შემდეგს მოქმედებებში მეტად მოხდენილად თამაშობდა.

კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ბ-ნ ზარდალიშვილმა ეროსის როლში, განსაკუთრებით მეოთხე მოქმედებაში; მისი წინანდელი მოუხეშავი და ნაძალადევი მიხვრა-მოხვრა ახლა სადა, ბუნებრივია.

მშვენიერი რამ იყო თ. გოგოლაშვილის ასული მელიქეს როლში, განსაკუთრებით მეორე მოქმედებაში, ეს ახალგაზდა მსახიობი საზოგადოთ დიდს იმედებს იძლევა.

მოხდენილად შეასრულა ბ-ნმა კორიშელმა ჯერ ჰერმესისა და შემდეგ არისტოს როლები. კარგი იყო ის განსაკუთრებით პირველ მოქმედებაში, როდესაც ჰერმესი გადასცემს ფსიხეას ღმერთების განაჩენს.

ამ საღამოს ჩვენს სცენაზე ორი ახალი პირი ვნახეთ; ერთი—ნ. ქიქოძის ასული, რომელმაც პირველ მოქმედებაში დიდის ხელოვნებითა და სიკეკლუცით იცეკვა ფსიხეას წინაშე. სცენაზე მას საზოგადოთ თავი თავისუფლად ეჭირა; მეორე—ბ-ნი ამაშუკელი (რომაელი ოფიცრის როლში), რომელსაც ხმა და თვალ-ტანადობა ხელს უწყობს მელპომენეს სამსახურისათვის. სასურველია, ეს პირნი კვლავ ვნახოთ სცენაზე უფრო საპასუხო როლებში; ბ-ნს აპტალიძეს ვურჩევთ „გონიერ ზომიერებას", როგორც მიხვრა-მოხვრაში, ისე ლაპარაკში; გადაჭარბებული და გადამლაშებული არაფერი ვარგა.

წარმოდგენა გარეგნული მოწყობილობითაც კარგი იყო, განსაკუთრებით სცენა მეორე მოქმედებაში ახალი დეკორაციების წყალობით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, საჭირო ყურადღება მიექცეს ელექტრონით განათებას, რომ სცენაზე სინათლეს მაშინ ემატებოდეს, ან აკლდებოდეს, როდესაც ამას პიესის შინაარსი მოითხოვს; უამისოდ წარმოდგენას ეფეკტი სრულიად ეკარგება. „ჯერ კიდევ თენდებაო", ამბობს ეროსი პირველ მოქმედებაში იმ დროს, როდესაც უკვე დიდი ხნის გათენებულია და სცენა კაშკაშებს.

საზოგადოება წარმოდგენიდან დიდად ნასიამოვნები დაბრუნდა.

ვისურვებთ, სეზონის დასასრულიც ისეთი იყოს, როგორიც დასაწყისი.

**ასარა.**

## ახმეტაში

**ხოფილ სტეფანწმინდის (ყაზბეგის), (დუშეთის მაზრა) ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ახალ სკოლის სააღმშენებლო კომიტეტისა.**

(წერილი რედ. მიმ.).

ხსენებულ სკოლის შენობა დაწყებულიყო 1909 წ. ზაფხულს, დასრულდა 1911 წ. ზაფხულს. სკოლის ასაშენებელ საშუალებას 1911 წ. 8 სექტემბრამდე შეადგენდა:

1) უწმინდესი სინოდისაგან 1000 მან., 2) ქრისტიანობის აღ. საზოგადოებისაგან 2500 მან., 3) გენერალ გიორგი ნ. ყაზბეგისაგან 1085 მ. 19 კ., 4) სტეფანწმინდელებისაგან 268 მ. 67 კ., 5) მურთაზა მუხთაროვისაგან 200 მ., 6) სტეფანწმინდის სცენის მოყვარეთაგან 176 მან., 7) მიხეილ ვასილის ძე ჩოფიკაშვილისაგან (აფიცერი) 50 მან., 8) გრიგოლ მიხეილის ძე ბერდულასაგან 10 მან., 9) ბ-ნ ზაგოროდნისაგან 2 მან., 10) დარჩენილ რკინის მასალის გაყიდვით 14 მან. 58 კაპ. სტეფანწმინდის სოფლის მცხოვრებთაგან (შრომით) 3200 მანეთი. სულ 8506 მ. 44 კ.

ვალი 351 მ. 69 კ.; დასამთავრებლად ვარაუდით საჭიროა 600 მან სულ ერთად შეადგენს 9458 მან. 13 კ.

ამ ფულიდან სულ დაიხარჯა 8 სექტემბრამდე 1911 წ.;

1) ნამდვილი ხარჯი 5404 მ. 41 კ., 2) ვალი. 351 მ. 69 კ., 3) და სამთავრებლად საჭიროა 600 მან., 4) ხალხის შრომა 3200 მ. სულ 9556 მ. 10 კ.

ამას უნდა გამოვაკლოთ კომიტეტის მიერ დახარჯული თავისი ფული 97 მ. 97 კ. სულ 9458 მან. 13 კაპ.

**კომიტეტის თავმჯდომარე: გ. ყაზბეგი. მღვდელი ბართლომე დუდუშური.**

**წევრნი: იაგორ ლუდუშაური, ივანე გელაშვილი, აბრამ ჩოფიკაშვილი, ვანო თოფაძე.**

## კახეთში მოგზაურობა არქეოლოგიურის მიზნით

(წერილი რედაქციის მიმართ)

ვასრულებთ აქ გუშინდელ ნომერში *) გამოცხადებულ სიას იმ პირთა, რომელთაც შემოსწირეს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმსა და ბიბლიოთეკას თავიანთი ნივთები და წიგნები, და რომელთაც ვუხდით ჩვენს გულითადს მადლობას. ესენი არიან:

**იური მიხეილის ძე ჭავჭავაძე**, ყვარელი, წმ. წამებულის ქეთევან დედოფლის ნაქონი „დაუჯდომელი", დამბაჩის ბუდე ოქრომკედით ნაკერი დამ ფული 3 თეთრი და 2 შავი.

**კნ. ნინო დავითის ასული ჭავჭავაძისა**, ყვარელში, რომელმაც გადმოგვცა ხელთ-ნაწერი: ძილის-პირი ღვთის მშობლისა, ღვთისმშობლის მიცვალება და რუსულ-ქართული ლექსიკონი, 2 ქალის მათრახი აბრეშუმით მოქსოვილი, ჩული ჯიჯიმისა, ქირმანის შალი, 2 სიგელი და სხვა ქაღალდები.

**კნ. თამარ ირაკლის ასული ჭავჭავაძისა**, სამუზეუმი, რომელმაც გადმოგვცა ნაქარგის ნიმუშები.

**სპირიდონ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი**, საბუეში, რომელმაც გადმოგვცა საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი ხელთნაწერი და ხის ჩარგალქა ვერცხლით მოჭედილი.

**დიმიტრი დავითის ძე ჩოლოყაშვილი**, ლალისყურში, რომელმაც გადმოგვცა იოანე მახარობელის ხატი ოქროთი მოჭედილი.

**გასიდ ნიკოლოზის ძე ხვედელიძე**, სანიორეში, რომელმაც გადმოგვცა დაბეჭდილი წიგნები: კატეხიზმა, 1846 წ., სიტყვა მღვდელობისათვის იოანე ოქროპირისა 1845 წ. და მართლმადიდებლობითი აღსარება 1847 წ., ხევსურული დაშნა, უზანგოები, ლაგამი, ჩალა-აღვირი, ხევსურული საცერული და საკეჭნავი, ბიუნბალი ნაქსოვი, ქისა და 21 სიგელი.

**გიორგი სოლომონის ძე ყარალაშვილი**, ართანაში, რომელმაც გადმოგვცა სპარსული ფირმანი, ყაჯარი ოქრომკედით ნაკერი, ხმლის პირი (ყალდიში), ორი სიგელის პირი და აბგა ჯიჯიმისა.

*) იხ. «ხალ. გაზეთი» № 404.

**არჩილ ივანეს ძე ყარალაშვილი**, ართანაში, რომელმაც გადმოგვცა ხელთნაწერი სირინოზიანი და ვახტანგ მეფის სამართალი და ხმალი.

**კნ. ანასტასია ეგნატეს ასული ჩოლოყაშვილისა**, ახმეტაში, რომელმაც გადმოგვცა ერთი ზანდუკზე სიგელები, ხელთნაწერი მეფის ალექსი მიხეილის ძის, სამართლის წიგნი და ქილილა და დამანა, და რკინის სამკლავე და ხელთათმანი.

**ალექსანდრე, გიორგი, დავით, ირაკლი, ელისაბედ და თამარ რევაზის ასულნი და ძენი ჩოლოყაშვილები**, ახმეტაში, რომელთაც გადმოგვცეს ფერადებით ნახატი პორტრეტები სალთხუცის გრიგოლ ქაიხოსროს ძის ჩოლოყაშვილისა და მისის შვილის ალექსანდრესი, ხელთნაწერები: სიბრძნე-სიცრუის წიგნი, მიმოსვლა ტელემაკისა და წიგნი მოხილვისა, 3 სიგელი, 2 სპარსული ფირმანი, ავგაროზი, ზარბაზანი, საპირისწამლე ვერცხლით მოჭედილი, ბოთლი და პატარა ყანწი ძვლით მორთული.

**ივანე სტეფანეს ძე მოსიაშვილი**, მატანში, რომელმაც გადმოგვცა ძველი ფული 2 თეთრი და 1 შავი.

**ნუგზარ (დავით) იოსების ძე ერისთავი**, ქისტაურში, რომელმაც გადმოგვცა ორი დამბაჩა ბუდეებით და მძივის ნაკერის ნიმუში.

**მიხეილ და ზურაბ გიორგის ძენი ერისთავნი**, ქისტაურში, რომელთაც გადმოგვცეს 7 დაბეჭდილი წიგნი და 83 შემდეგი ხელთნაწერი: სამხედრო ტიბიკონი, ათნი ეპისტოლენი დიონისის არეოპაგელისანი, ლოღიკა აბბატ კონდილიაკისა, ისტორია ანგლიელისა გიორგი მილორდისა, მოთხრობა ანუ ისტორია მშვენიერისა ქალისა და კაცისა, წამება წმ. ქეთევან დედოფლისა, ესტეტიკებრნი განსჯანი (2 ცალი), ზაირა ტრაგედია ვოლტერისა, მეფის ვახტანგის სამართალი (2 ცალი), საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, საუნჯე კვრილე ალექსანდრიელ ეპისკოპოსისა, ექვსთა დღე ვასილ კესარიელ-კაბადუკიელ ეპისკოპოსისა, საითიკო ფილოსოფია, დასაბამი ფილოსოფიისა ბაუმეისტერისა, სარკე თქმულთა, წიგნი მაქსიმე აღმსარებლისა, კრებული საზნეო და სასულიერო წერილებისა, ჩარ-დავრიშიანი, გვირგვინი, მეტაფიზიკა, ოქროს ანაქესი სამოელ რაბინ იუდიანისა, ცხოვრება წმ. ბარბარესი, თოვენი, კატის ომი, შობდურება ზნეობითისა ფილოსოფიისა ფერლიუსისაგან, ცხოვრება და მოქალაქეობა ნინა მოციქულისა, მეფობის ტახტზედ აღსლვა თამარ მეფისა, მოკლე ზნეობითნი სწავლანი, კითხვა-მიგება ევთიმი ქართველისა, შემოკლებული მოთხრობა საქართველოს აღშენებისა და სხვა, ჰაზრნი ჟან-ჟაკ რუსოსანი სხვა და სხვა საგანთათვის, დასაბამობითისა გამოცდილებისა ფილოსოფია, ჯისრამიანი, ფილოსოფია ყოფა-ქცევათა მოძღურებისა, მართლ-მადიდებლითი მოძღუარება, მთა-წმინდისა და წმ. იერუსალიმისა მიმოსვლა ტიმოთეს მიერ, ვარდ-ბულბულიანი თეიმურაზ მეფისა, ფისიკა ანტონ კათალიკოსისა, წყობილ-სიტყვაობა მისივე, დასაბამითნი საფუძველნი მეცნობლობითისა ფისიკისანი, 3 ტომი; ქება, დიდება, შესხმა და მოქალაქეობა ღვთის-მშობლისა თქმული მაქსიმე აღმსარებელისა; ბარამიანი, მოკლე შემეცნება მათემატიკისათვის, კარაბადინი, ჰმარებისათვის ლოღიკისა; კორწილი იმერეთის თავადისა, კომედია ქმნილი აზნაურის ოქროპირ წერეთლისაგან და წარმოდგენილი თავის საკუთარ სოფელში 1-ს აპრილს 1845 წელსა; ველისარიონი; უბნობანი შორის გამომცდელისა და დარწმუნებულისა მართლ-მადიდებლობისათვის აღმოსავლეთის ბერძენთ-როსსიის ეკკლესიისა, თანადართვათა გამონაწერისათა საზოგადოისაგან ეპისტოლისა ფოტი პატრიარხისა; ცხოვრება და მოქალაქეობა სილიბისტრო რომთა პაპისა; კატიღორიათა არისტოტელითად შეყუანილება ანტონ კათალიკოსისა; ხელოვნებისათვის სარიტორიისა; სიზოგადო ღეოღრაფია; სახელმძღვანელო ღრამატიკისა; ესოპეს ცხოვრება; მოთხრობა წმ. იოანნე ოქროპირისა მეორისა მოსვლისათვის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა; სოფლის ექიმი, მოთხრობა დე ლა ჟენიესი; საფილოსოფოსო წიგნი; შემოკლებულნი განსჯანი უსაჩინოესთა საგანთათვის ქრისტიანებრივისა ცხოვრებისათა; გოდება ნ. კარამზინისა მეგობრის დაკარგვის გამო; სოფლის აღსასრულისათვის, აპოკრიფი; წერილი ანტონ I კათალიკოსისა ალექსი მღვდელისადმი; ვეფხის ტყაოსანი; ნაპოლეონ ბონაპარტეს სიტყვანი; რიტორიკა; რომანი რომის ცხოვრებიდან; არითმეტიკისათვის და ოთხთ მოქმედებათა, ლექსები თ. სვიმონ მაყაევისა და სხვათა; კვინტო-კურციოს ისტორია; დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა, ბაუმეისტერისა; რიტორიკა მხითარისა, თარგმ. სომხურ. ანტონის მიერ კათალიკოსისა, და უწყება მიზეზთა ქართველთა მოქცევისა თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების; ოქროს წყარო იოანე ოქროპირისა; ამბავი მაჰმადისი თარგმანთა შინა ფსალმუნთასა შემოხმული და წიგნთაგან მაჰმადიანთა გამოღებული და ნათესაობა მათი; წიგნი კატიღორია სიმეტნეთა ანტონ I კათალიკოსისა; წიგნი ლოცვათა განკითხვათასა; მანანა ანუ ღვთივ დიდებულთა წმიდათა შესხმანი სულისა დამატკბობელნი; წამება წმიდისა გიორგისა; სძილის პირნი საცისკრონი რვა ხმანი; შეყვანილება კატეღორიათა; ლოცვანი (2 ცალი); დაუჯდომელი-ლოცვანი; სძილის პირნი ანუ სავედრებელნი ლოცვანი: რიტორიკა მხითარისა; მოთხრობა უგუნურებითის გამოძიებისა; მოკლე ჰაზრი ყოველთა სწავლათათვის სახმარად ყრმათა საქართველოისათა; შემოკლებული კატეხიზმა; შესავალი ღრამატიკისა; ხსენება დავით აღმაშენებელისა 26 იანვარს; ამას გარდა დიდი ჯვარი ათონური ვერცხლით მოჭედილი და პატარა ჯვარი ათონური ღვთის მშობლის ხატი ნაკერი; ფერადები; ნაქარგის ნიმუშები; ნარდი; პორტრეტები ფოტოგრაფიული ათი; პორტრეტები ფერადებით ნახატი: კნ. მანანა ორბელიანისა, კნ. ტასო გაგარინისა, ივანე მალხაზის ძის ანდრონიკაშვილისა და ნინო მალხაზ ანდრონიკაშვილის ასულისა; და ჩამომავლობის შტო არაგვის ერისთავებისა.

**დიმიტრი ივანეს ძე მაყაშვილი**, იყალთოში, რომელმაც გადმოგვცა თავისი პორტრეტი ფერადებით ნახატი, და ორი თეთრი ფული.

**ვლადიმერ ათანასეს ძე მაყაშვილი**, იყალთოში, რომელმაც გადმოგვცა მინის კულა და ორი მინის სურა ივანე ბოდბელის ნაქონი.

**მღ. ივანე მრევლიშვილი**, იყალთოში, რომელმაც გადმოგვცა მაქსიმე აღმსარებელის თხზულებანი, ხელთნაწერი; და ძველი ფული; ერთი თეთრი და ერთი შავი.

**კნ. სოფიო გიორგის ასული მაყაშვილისა**, იყალთოში, რომელმაც გადმოგვცა თეფში ფაიფურისა და მინის კულა.

**ზაქარია ივანეს ძე მაყაშვილი**, იყალთოში, რომელმაც გადმოგვცა დამბაჩა.

**ზაქარია რამაზის ძე მაყაშვილი**, იყალთოში, რომელმაც გადმოგვცა ათი სიგელი.

**კნ. სოფიო ივანეს ასული მაყაშვილისა**, იყალთოში, ფოტოგრაფიული პორტრეტი გრიგოლ ავთანდილის ძის ქობულაშვილისა, ერეკლე მეფის ელჩისა.

**კნ. თეოდოსია რაფიელის ასული მაყაშვილისა**, იყალთოში, რომელმაც გადმოგვცა რაფიელ ერისთავის საიუბილეო ადრესები.

**დურსხან გიორგის ძე მაყაშვილი**, იყალთოში, რომელმაც გადმოგვცა ერთი ძველი თეთრი ფული გერმანული.

**ზაქარია რამაზის ძე ჭავჭავაძე**, თელავში, რომელმაც გადმოგვცა ფერადებით ნახატი პორტრეტი რამაზ ჭავჭავაძისა, დამბაჩა და თამბაქოს ქისა ოქრომკედით ნაკერი.

**დეკანოზი იოანე შიუკაშვილი**, თელავში, რომელმაც გადმოგვცა ხელთნაწერი დავითნი და კონდაკი, დაბეჭდილი 1710 წ. და

**გასიდ ბესარიონის ძე სულხანიძე**, თელავში, რომელმაც გადმოგვცა მაშხალა და უზანგი.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე

**ე. თაყაიშვილი.**

საზოგადოების ხაზინადარი

**ალ. ხახანაშვილი.**

# განცხადებანი


**საბუღალტერო კურსები**
**გ. და მ. ტერ-დავიდოვებისა.**
ნიკოლოზის ქ., N 36, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.
კანცელარია ღიაა საღამოს 4—6 ს.
**სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვიდან.** (25.781.20)

**დოქტ. ნავასარდიანისა**
უქმეს დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მუდრანი:** 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.
**ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერშაცი:** 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.
**გ. ი. გურგენოვი:** 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ.-ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ნახ.- ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. ვ. ველიხანოვ-ენგელი:** 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. ვარციმევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტატიურად.**

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით საავადმყოფოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ. (1168—136)

**სამკურნალო კაბინეტი**
**ექიმ პ. ს. ფონ-ირეთელისა**
(ელისაბედის ქ., № 17, ეკლესიის მისახვევის პირდაპირ).
სპეციალისტი-ქირურგი (ხიმხივნიკა), საშარდე ბუშტისა, მილისა, თირკმლებისა და სასქესო ორგანოთა (უღონობა, ნერვიული სისუსტე, ჩუკუნების მეტი), ათაშანგისა და მის შედეგთა,
(ერლიხის „6 0 6"-ის წამლებით
და ბერლინის კლინიკათა წესით საშუალებით), ვენერიულ ავადმყოფობათა (სუსუნატისა და მილის დავიწროვების წამლობა), კანის სნეულებათა წამლობა ელექტრონით და ოპერაციები.
ავადმყოფთა მიღება დილის 9—12 საათამდე და საღამოს 5—8 ნახ. საათამდე. ქალთათვის ნაშუადღევის 2—3 საათამდე. (25.1505.5)

◀ მოგზაურთათვის ▶
**თავშესაფარი**
**გეგია-ქალის**
**თუხარელისა.**
ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ
მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.
მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასაჟი ყოველ-დღე დილის 6-დან ნაშუადღევის 12 ს.
(თ.—1083—78)

**მასწავლებელ ქალთა ჯგუფი**
**„მასწავლ.-ქალთა საზოგადოებასთან"**
ღრივე სქესის ბავშვებს ყველა საგნში და ენაში ● ამზადებს ● საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის. მეცადინეობა 3 ოქტომბერს დაიწყება. მსურველნი საზოგადოების „მასწავლებელ-ქალთა საზოგადოების" კანტორაში უნდა ჩაეწერნენ, ბარიატინსკის ქ., N 6, დილის 10—2 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე. (3.835.1)

**გამოცდილი მასწავლებელი**
ჩვეულებრივად წელსაც განაგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სავაჭრო სასწავლებლისთვის, სატექნიკო, სამეურნეო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე. ყველა ქალაქის ჩინისთვის.** ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ჩუღურეთზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უმეტესს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.
სიმონოვის ქუჩა, № 28, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ხარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. (თ.—1084—32)

**გამოვიდა და იყიდება**
**თხზულებანი:**

| | | |
|---|---|---|
| არჩილ ჯორჯაძისა: | წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო", | ფ. 75 კ. |
| „ „ | წ. II. „ჩვენი საზოგადოებრივობა" . . . | ფ. 80 კ. |
| „ „ | წ. III. „ნააზრევი" . . . . . . . . . | ფ. 65 კ. |
| Bâton-ისა: | „ერი და კაცობრიობა" . . . . . | ფ. 1 მ. 20 კ. |
| ვ. ყიფიანისა: | «საქმეგრძელთ მთავარი ლევან», ისტ. დრამა | ფ. 40 კ. |
| ნ. შიუკაშვილისა: | «მეგობრობა», 4 მოქმ. დრამა . . . . | ფ. 30 კ. |

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

**ტფილისის ქალაქის**
**გამგეობა**
ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 22 სექტემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, დანიშნულია საქალაქო ყანთრის იჯარით გაცემა შუაბაზარში. პირობების გადაშინჯვა შეიძლება ქალაქის გამგეობის საიჯარო განყოფილებაში ყოველდღე, კვირა-უქმის გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—1503—2)

**სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭეთ**
**ძმ. ძეგველოვების**
● მ ა ღ ა ზ ი ა ●
პუშკინის ქ., საკუთარი სახლი, № 9, ტელეფონი № 712,
**✦ ახალ-ახალი ✦**
**ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).**
ყოველ დღე ცხელი **ლოქში.**
◀ საუკეთესო პაიუსი ხიზილალა გირვანქა 1 მ. 20 კ.
ახალი კეტოვი **ხიზილალა**
აგრეთვე მივიღეთ საუკეთესო ღირსების სელიოდკები სამეფო, დუნაისა, რიგისა და ქერჩისა.
(წ—1061—)


სტამბა „სორაპანი", მადათოვის კუნძული.
რედაქტორ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.